განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“

ცვლილების შეტანის შესახებ”

რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპორექტის მიღება განპირობებულია პარლამენტის წევრებისთვის პლენარულ სხდომებზე განცხადებებისთვის გამოყოფილი დროით სარგებლობის სიხშირის გაზრდით, რადგან პარლამენტის რეგლამენტის, 137-ე მუხლის, პირველი პუნქტის მოქმედი რედაქციით პარლამეტნის წევრებს განცხადებებით გამოსვლისთვის დრო ეთმობათ მხოლოდ პლენარული სხდომების ოთხშაბათ დღეს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

მოგეხსენებათ, რომ პარლამენტი წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს, შესაბამისად მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილი, პარლამენტის წევრებს, რომლებიც პარლამენტში წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ჰქონდეთ პლენარულ სხდომებზე განცხადებისთვის განკუთვნილი დროით სარგებლობის მეტი საშუალება. აღნიშნული ცვლილება იქნება ხელშემწყობი აქტიური და შედეგობრივი საპარლამენტო ცხოვრებისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღების ძირითადი არსია პარლამეტნის წევრთათვის პლენარულ სხდომებზე განცხადებებით სარგებლობის დადგენილი სიხშირის გაზრდა, კერძოდ რეგლამენტის 137-ე მუხლის პირველი პუნქტით პარლამენტის წევრებს პლენარული სხდომების კვირის ოთხშაბათს, დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ 30 წუთი ეთმობათ განცხადებებისთვის, აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, გამომსველელთა რაოდენობის შესაბამისად შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 30 წუთით, შემოთავაზებული პროექტით კი დადგენილი წესით განცხადებებით სარგებლობის უფლება შესაძლებელი გახდება პლენარული სხდომების სხვა დღეებშიც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმფიწო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მარავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.